სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №7

02 თებერვალი 2017 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის" დირექტორი თამარ ჟვანია და მეორეს მხრივ, შპს ,,რაპაკა" (შემდგომში - მიმწოდებელი) ,საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ გამარტივებულ შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. " ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში _ ხელშეკრულება) _ შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" _ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", კვირა", "თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."შემსყიდველი" _ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" _ პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობას, ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ხელშეკრულების საგანი : ბეჭდის დამზადების ღირებულება. CPV _30100000

2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების აღწერა მოცემულია მიღება ჩაბარების აქტში

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 40--(ორმოცი) ლარი

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ანგარიშ ფაქტურის და მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ. 10 (ათი) სამუშაო დღის გამავლობაში

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარება განხორციელდება მიღება ჩაბარების აქტის, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

5.3. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის" დირექტორი.

6 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს 10 კალენდარულ დღეში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია: შესასყიდი ობიექტი მიაწოდოს ხელშეკრულების პირობების დაცვით.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი."

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი)%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია აცნობოს წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 **ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან 02 თებერვლი 2017 წლიდან და მოქმედებს 02 მარტი 2017 წლის ჩათვლით.**

13.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი- შემსყიდველს.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო,	შპს „რაპაკა"
განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი."	ს/კ 412704505
ქ. ვანი თავისუფლების ქუჩა N65	ა/ნ GE54PC0013600100045900
	MIBGGE22
ა/ა GE15LBO120154131958000	პროკრედიტ ბანკი
ს/კ 229659376	ქუთაისი წერეთლის და ჯიბლაძის 35/2
დირექტორი: თ. ჯანია	შპს „რაპაკა"
_____	_____